პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 64 (5094)

1974 წ. 31 მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ტელეტაიპი

ალმა-ათა, 29 მარტი. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე 17 წლის ა. დემიდოვამ 1000 მეტრზე სწრაფრბენაში 0,4 წამით „გაუსწრო" უფროსების საკავშირო რეკორდს. დემიდოვის შედეგია 1.18,8.

22:8

ნოიბრანდენბურგში (გდრ) მიმდინარეობს ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 28 მარტს ანგარიშით 22:8 (13:5) სძლია პოლონეთის ეროვნულ გუნდს.

საბჭოთა სპორტსმენთაგან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტურჩინამ, მაკარეცმა და ბობრუსმა.

მე-4 გვერდზე:

კალათბურთი: ცსკა-მ წააგო „კლევთან".

ველოსპორტი: მშვიდობის ველორბოლა და შურკოვსკი.

ფეხბურთი: ნაკრების მოთამაშენი რას მიქვია, — ამბობს სტეინი.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ახალი ამოცანები

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება: შრომითი დიდების ორდენისა და მედალ „შრომის ვეტერანის" დაწესების შესახებ. კოლეგიამ მხურვალედ მოიწონა ეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხალხის შემდგომი კეთილდღეობისა და ბედნიერებისკენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებას „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამოცანები შრომითი დიდების ორდენისა და მედალ „შრომის ვეტერანის" დაარსებასთან დაკავშირებით" საქართველოს ფიზკულტურელთა მილიონიანი არმია განიხილავს, როგორც ახალ სტიმულს ფიზკულტურული მოძრაობის ყველა დარგში, როგორც ფიზკულტურის მუშაკთა შრომითი და ორგანიზატორული აქტივობის ახალ მძლავრ ბიძგს.

ამასთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, ფიზკულტურისა და სპორტის დარგის ყველა მუშაკი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ შრომითი დიდების ორდენისა და მედალ „შრომის ვეტერანის" დაარსებას, ამაში ხედავენ ადამიანთა შრომის დაფასებისთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალ გამოხატულებას.

საქართველოს სპორტკომიტეტმა დაავალა ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მითითებებით და ამით ახალი სტიმული შეიტანონ ფიზკულტურული მოძრაობის ყველა დარგში, რათა საგრძნობლად ამაღლდეს ფიზკულტურულ მუშაკთა შრომითი აქტივობა.

საქართველოს სპორტკომიტეტის აზრით, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მუშაობა, რათა გადაჭრით გარდაიქმნას ფიზკულტურის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებებისა და საუწყებო ორგანიზაციების, აგრეთვე, ფიზკულტურული კოლექტივების მთელი საქმიანობა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს. ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ უზრუნველვყოთ ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულება. ამისთვის კი აუცილებელია თითოეული ფიზკულტურული კოლექტივისა და ორგანიზაციის, ყოველი ფიზკულტურული მუშაკის ინიციატივის წახალისება, მათი ორგანიზაციული აქტივობის ამაღლება.

1974 წელი უნდა გამოცხადდეს გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულების წლად ფიზკულტურული მოძრაობის ყველა რგოლს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საშუალებით. უნდა გაძლიერდეს პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, უნდა განვუმარტოთ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ახალი ჯილდოების დაწესებისა და მნიშვნელობის არსი. ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ მოწინავე ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების მეთოდი. ყოველ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში უნდა შეიქმნას პატივისცემისა და ნდობის, ადამიანისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო.

უპირატესობა დაკარგა

ბათუმში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირადი პირველობა მშვილდოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ესტონეთის, ლიტვისა და საქართველოს წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ხელვაჩაურის რაიონის მშვილდოსნები იცავდნენ. ვაჟთა შორის იმარჯვა ვ. ენიევმა (რსფსრ), ზ. ჰყონია 22-ე ადგილზე გავიდა.

ქალთა შორის პირველობისთვის ბრძოლაში ლ. ბადმაჟანოვასა და ვ. ერდინეევას (ორივე — რსფსრ) მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ხელვაჩაურელმა ნ. ტაშჩიანმა. მან 60 მეტრზე სროლა მოიგო, 70 და 50 მეტრზე ასპარეზობაში კი II ადგილები დაიკავა, მაგრამ ვინაიდან 30 მეტრზე ცუდად ისროლა, საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა.

ს. კაციტაძე,
„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.



ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР - 1974

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადამ საბჭოთა ქვეყანაში სათხილამურო, საციგაო და საციგურაო სპორტის, ფიგურული ციგურაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა: გაფართოვდა სპორტნაგებობათა ქსელი, ამაღლდა შედეგები. სვერდლოვსკსა და ბაკურიანში გამართულმა ასპარეზობებმა ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცება დაადასტურა. სპარტაკიადამ, რომელიც მომავალი „თეთრი ოლიმპიადისთვის" ძალთა მორიგი შემოწმება იყო, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და უწყებებს ახალი ამოცანები დაუსახა.

* * *

სურათებზე: ზევით — ასეთი იყო სწრაფდაშვების სტარტი ბაკურიანში; ქვევით — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონები ყინულზე სპორტულ ცეკვაში ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანისა (ჩვენი სპეც. კორ.) და ბ. კლიპინიცერის (სადესი) ფოტოები.

ახალი ამბავი —74

● **მოსკოვი, 29 მარტი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ამჟამინდელმა მფლობელმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ამ რანგის მიმდინარე გათამაშების საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 22:13 (11:7) სძლია ნორვეგიის „ოპსალს" და ორი შეხვედრის ჯამში ფინალში გავიდა (პირველი შეხვედრა ნორვეგიელებმა მოიგეს — 13:10). გადამწყვეტი თამაში 21 აპრილს მოეწყობა დორტმუნდში (გფრ). მოსკოველთა მეტოქე ადგილობრივი „გუმერსბახი" იქნება.

● **სტოკჰოლმი, 29 მარტი.** შვეციისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები კოლექტივების დღეს აქ გამართულმა განმეორებითმა ამხანაგურმა მატჩმა (ამ გუნდების პირველი შეხვედრა გეტებორგში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 7:2) წარმატება ვერც ერთ მეტოქეს ვერ მოუტანა — 1:1 (0:0, 1:1, 0:0). შაიბები გაიტანეს სედერსტრიომმა და მალცევმა.

სპორტული ალოობა

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიაბიჯებს თვალუწვდენელ საბჭოთა ქვეყანაში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ფრონტი. მაგრამ ამ მოუცლელ დღეებშიც კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ყოველ თავისუფალ წუთს სპორტულ ბრძოლებს უთმობენ. საქმე ისაა, რომ წლევანდელი გაზაფხული II საკავშირო სპორტული თამაშების ფინალების გაზაფხულია. და, როცა მინდვრად ტრაქტორების გუგუნი წყდება, ფრენბურთის მოედნიდან ისმის ბურთზე დარტყმის ყრუ ხმა, საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე სასტარტო პისტოლეტს ისვრიან, ტირში კი მსროლელები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ტარდება II სასოფლო თამაშების შეჯიბრებები...

თამაშების დაწყებით ეტაპებზე შეჯიბრებები 58 ათას სასოფლო კოლექტივში ჩატარდა. ამ პერიოდში 2 მილიონზე მეტმა სოფლის მუშაკმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები, ხოლო სულ სტარტზე 7,5 მილიონი კაცი გამოვიდა. 19 სპორტსმენმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 372 კაცი ოსტატი გახდა.

27 მარტს მოეწყო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი საბჭოს და 1974 წლის II საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში სასოფლო თამაშების ჩასატარებლად ტაჯიკეთის კომკავშირული ორგანიზაციისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ხოსილოტის" ერთობლივი მუშაობის საკითხი. მიმდინარე წლის 1 მარტისთვის შეჯიბრებები ჩატარებულია 529 კოლექტივში. სარბიელზე გამოვიდა 91363 კაცი. მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა არმიას დაემატა 22672 სოფლის მშრომელი. თამაშების ჩატარებამ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში. „ხოსილოტის" ფიზკულტურელთა რიცხვი 99051-მდე გაიზარდა (1972 წელს — 67436).

მაგრამ ფიზკულტურის კოლექტივებში თამაშების მომზადებისა და ჩატარებისთვის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია და „ხოსილოტის" ყველა საბჭო როდი ეწეოდა სისტემატურ მუშაობას. მაგალითად, 50 კოლექტივში ჯერ საერთოდ არ შესდგომიან თამაშების ორგანიზაციას — შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია 7,5 ათასზე მეტ ფიზკულტურელს.

იგივე ნაკლოვანებები აქვთ თამაშების ჩატარებაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს. საზოგადოების ფიზკულტურელთა 35 პროცენტს (მესამედზე მეტს) შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია.

საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის საბჭოთა მეურნეობებში მშდ კომპლექსის დანერგვის დონეზე, უნგენში, ჩერნოვცში, დნეპროპეტროვსკში თამაშების ფინალური შეჯიბრებების ჩასატარებლად მზადებაზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით თამაშების გაშუქების ღონისძიებათა გეგმის შესრულების საკითხზე.

ფიზკულტურის კოლექტივებში

შეგვიძლია და გავაკეთებთ

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სისტემაში თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი შრომითი მიღწევებით ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. ამ წერილის მიზანია მკითხველს გააცნოს კომბინატის სპორტული ცხოვრება.

1961 წელს ტრიკოტაჟის კომბინატის ბაზაზე ჩამოყალიბდა სპორტკლუბი, რომელსაც „ფეიქარი“ ეწოდა. ამჟამად ამ კლუბში ათი სპორტული კოლექტივი მუშაობს.

დღეისთვის კომბინატის 3500-მდე თანამშრომლიდან 2733 სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრია. სპორტკლუბ „ფეიქრის“ სპორტსმენებმა შარშან წარმატებით იასპარეზეს „განთიადის“ რაიონული, საქალაქო და ცენტრალური საბჭოების შეჯიბრებებში. შარშან აქ მშდ კომპლექსის 143 ნიშნოსანი, 2 სპორტის ოსტატი, 3 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 25 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 223 სპორტსმენი მომზადდა. გადაჭარბებით შესრულდა, აგრეთვე, ინსტრუქტორების, მსაჯების, ფიზორგებისა და მეთოდისტების მომზადების დავალებანი.

კოლექტივში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, როგორიცაა ტურისტული ლაშქრობები, საწარმოო ტანვარჯიში და თევზაობა.

„ფეიქრის“ სპორტსმენებმა შარშან 42-ჯერ იასპარეზეს სხვადასხვა შეჯიბრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც მათ II ადგილი დაიკავეს. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სისტემის საწარმოთა გუნდებს შორის გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქ ჩირჩიკში (უზბეკეთის სსრ) ჩატარდა, „ფეიქრის“ მძლეოსნებმა VII ადგილი მოიპოვეს.

სპორტულ კლუბში არც მუშამოსამსახურეთა შვილებს ივიწყებენ. მათთვის აქ შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც 149 ბავშვი მეცადინეობს.

წლევანდელი წელი ფეიქრებისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა. მათ ჯერ ბაკურიანში იმარჯვეს, სადაც თბილისის სპორტული კლუბების ზამთრის III სპარტაკიადაში ყველა ჩამოიტოვეს, მერე კი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ზამთრის IX სპარტაკიადაში გაიმარჯვეს. ქალთა საერთაშორისო დღისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში ფრენბურთელმა ქალებმა III ადგილები მოიპოვეს. სოხუმში, სადაც გაიმართა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სისტემის რესპუბლიკური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, „ფეიქრის“ წარმომადგენლებმა 22 გუნდს შორის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. პირად ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ სართავი საამქროს მუშა ი. იალიშევი და კომბინატის აგრონომი ა. გოლნიხი.

თბილისელმა ფეიქრებმა ამ დღეებში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს: ცურვაში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში ა. რეზნიკოვამ, ს. ნედელკომ და ი. ლეკვეიშვილმა ოთხი გამარჯვება მოიპოვეს, ერთი II და ორი III ადგილი დაიკავეს, რითაც ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

— წლევანდელი სეზონი მართლაც წარმატებით დავიწყეთ, მაგრამ მეტი შეგვიძლია და მივაღწევთ კიდეც მიზანს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ გვიშლის ხელს, — ამბობს სპორტკლუბის თავმჯდომარის მოადგილე გ. დვალი. — მაგალითად, მოცურავეები, ფრენბურთელები და კალათბურთელები მხოლოდ ზაფხულში ახერხებენ ვარჯიშს. ტირის უქონლობის გამო მსროლელთა წრე საერთოდ არ მუშაობს, საწარმოო ტანვარჯიშის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საჭიროა საამქროების რადიოფიცირება, გვაკლია სპორტული ინვენტარი...

ვიმედოვნებთ, კომბინატის ხელმძღვანელობა დააკმაყოფილებს სპორტსმენთა მოთხოვნებს.

რ. საზინაშვილი.

* * *

სურათზე: ფრენბურთში შიდასაკოლექტივო შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

საბჭოთა კრივის გეოგრაფია გაფართოვდა

იჟევსკი, 29 მარტი. საბჭოთა კრივის გეოგრაფიული არე დღეს საკმაოდ ფართოა. მაგალითად, აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მარტო ნახევარფინალებში მონაწილეობს რსფსრ-ს სხვადასხვა ქალაქის 18, უკრაინის 7, ყაზახეთის 5, ბელორუსიისა და უზბეკეთის 4-4, სომხეთის 3, ლატვიის, ლიტვისა და მოლდავეთის თითო სპორტსმენი. ისინი უკვე მიმდინარე ტურნირის პრიზიორები არიან. მათ შორის ექვსი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონია, სამი ოლიმპიური ჩემპიონი — მოსკოველი ვ. ლემეშევი, ასტრახანელი ბ. კუზნეცოვი და ჩებოქსარელი ვ. სოკოლოვი.

...იმათ შორის, ვინც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქვეყანაში კრივის განვითარებაში, არის კ. გრადოპოლოვიც. დღეს „საბჭოთა კრივის პატრიარქს“ 70 წელი შეუსრულდა. ჯერ კიდევ 1926 წელს ის იყო სსრ კავშირის პირველ რვა ჩემპიონს შორის და დღეს ალბათ არცაა მწვრთნელი, მსაჯი ან სპორტსმენი, რომელიც გრადოპოლოვს არ იცნობდეს. იგი ესწრება სსრ კავშირის ყველა ჩემპიონატს: კრივი მისი ცხოვრების საქმე გახდა. იგი არის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

სხვათა შორის, გრადოპოლოვმა არა მარტო ბევრი ნიჭიერი მოკრივე აღზარდა. იგი კრივს პროპაგანდას უწევდა... კინოს საშუალებითაც. გრადოპოლოვი გადაუღიათ ფილმებში „მოკრივეები“, „საზღვარი დაკეტილია“, „ბრძოლა გრძელდება“...

ი. კედროვი,
ჯ. ხაჩკოვანიანი.
(საკდესის სპეც. კორ.).

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ!

გასული სასწავლო წლისგან განსხვავებით, წლეულს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებისთვის სტუდენტთა უკეთ მომზადების მიზნით დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატმა შეიმუშავა საორგანიზაციო პრაქტიკისა და საზაფხულო სესიის ახალი გრაფიკი.

მეხუთე, გამოსაშვები კურსის სტუდენტები პედაგოგიურ-საორგანიზაციო პრაქტიკას წარმოებისგან მოუწყვეტლივ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გადიან 11 მარტიდან. სტუდენტებს დავალება უკვე მიღებული აქვთ, იციან, რა უნდა გააკეთონ ხუთი კვირის განმავლობაში. საკონსულტაციოდ და ადგილებზე დახმარების გასაწევად აპრილის პირველ რიცხვებში რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებში გაემგზავრება ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის მასწავლებლებით დაკომპლექტებული ბრიგადა.

15-დან 27 აპრილამდე თბილისის ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში წარმოებისგან მოწყვეტით საორგანიზაციო-პედაგოგიურ პრაქტიკას კვალიფიციური პედაგოგები, მწვრთნელები და ფიზკულტურის მეთოდისტები უხელმძღვანელებენ. სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ აკადემიური დავალიანება, პრაქტიკის პერიოდში სამუშაო ადგილზე ხელფასი ენახებათ. ვინც დაწესებულ ვადებში ვერ შეძლო აკადემიური დავალიანების მოსპობა, ხელფასიანი შვებულების უფლებას კარგავს. მათ პრაქტიკისთვის და საზაფხულო სესიებისთვის კუთვნილი ან უხელფასო შვებულების აღება დასჭირდებათ.

საზაფხულო სესია გამოსაშვები კურსის სტუდენტებისთვის 6 მაისს დაიწყება და 22 მაისს დამთავრდება.

სახელმწიფო გამოცდები, აგრეთვე, საზაფხულო სესია I, II, III, IV კურსების სტუდენტებისთვის 3 ივნისს დაიწყება.

სტუდენტები, რომლებიც 20 აპრილამდე არ დაფარავენ აკადემიურ დავალიანებას (საკონტროლო და საკურსო სამუშაოების ჩათვლით), სესიაზე ხელფასის შენახვის უფლებით გამოძახებული არ იქნებიან.

კიდევ ერთხელ გვინდა გავაფრთხილოთ დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტები, რომ სესიის წინ აუცილებელია დეკანატში წარმოადგინონ ცნობა სამსახურის ადგილიდან.

როგორც ყოველთვის, ინსტიტუტის ყველა კათედრა ახლაც მზადაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებს, რათა მათ დროულად და ხარისხიანად შეასრულონ სასწავლო გეგმა.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი.

ორნი საპრიზო ადგილებზე

ბაქოში დამთავრდა იუნიორ ძალოსანთა საკავშირო პირველობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ და ზოგიერთმა მათგანმა საპრიზო ადგილიც მოიპოვა.

უმჩატესი, ქვემსუბუქი და მსუბუქი წონითი კატეგორიების ათლეტთა შეჯიბრების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით.

მჩატე წონაში ჩვენი რესპუბლიკის ორი ძალოსანი — კოლმეურნე სპორტსმენი გ. სითათაშვილი და განთიადელი თ. კარაიანიდი გამოდიოდნენ. სითათაშვილმა III საპრიზო ადგილი დაიკავა (210 კგ), ხოლო კარაიანიდი მეოთხე იყო (202,5). ამ წონაში გაიმარჯვა ა. ჩერეპანოვმა (რსფსრ) — 217,5 კგ. II ადგილზეა ყაზახეთის წარმომადგენელი ა. კრივიცკი — 215.

ქვემძიმე წონაში წარმატებით იასპარეზა სპარტაკელმა ნ. ნახუცრიშვილმა, რომელმაც წინ გაუშვა მხოლოდ გამოცდილი ა. სეტიანოვი (რსფსრ). გამარჯვებულმა 322,5 კგ დააგროვა. ნახუცრიშვილი მას 7,5 კგ-ით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ლ. ლევკოს (უკრაინა) — 312,5.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქვესაშუალო — ა. ტოხტამიში (უკრაინა) — 290, მ. ჩიჩირკა (ლიტვა) — 285, ი. დავიდი (უკრაინა) — 285; საშუალო — გ. ბესონოვი (რსფსრ) — 315, რ. ნანიევი (რსფსრ, პირადი) — 315, ლ. პავლიუკი (ყაზახეთი) — 297,5; მძიმე — გ. შვედჩიკოვი (რსფსრ) — 342,5, გ. მარჩუკი (მოსკოვი) — 330, ს. ნოვიკოვი (რსფსრ) — 325.

გუნდურ ჩათვლაში 14 რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის საქართველოს კოლექტივი VII ადგილზე გავიდა. საპრიზო სამეული ასეთია: რსფსრ, უკრაინა, ყაზახეთი.

სპორტსაზოგადოებებს შორის პირველ სამ ადგილზე არიან ცსკა, „ბურევესტნიკი“, „დინამო“. საინტერესოა, რომ IV ადგილზე გასულ სპარტაკელთა გუნდში გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის 5 წარმომადგენელი და მათგან ოთხმა კოლექტივს ჩასათვლელი ქულები მისცა.

ა. ცეხანელი.

ტალის დიდოსტატური სეანსი

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა საკავშირო გუნდური შეჯიბრების IV ტურში განსაკუთრებული წარმატებით ითამაშა რიგელი პიონერების კაპიტანმა მ. ტალმა. მან „მშრალი“ ანგარიშით (7:0) მოუგო ჩელიაბინსკელთა გუნდს. ეს ჯერჯერობით ტურნირში ყველაზე მაღალი შედეგია. ამრიგად, კაპიტნებს შორის ტალი დაწინაურდა: მას 24 ქულა აქვს 28-დან.

მოსწავლეებს შორის საუკეთესო შედეგი (2,5 ქულა) ჰქონდა ორ მონაწილეს: ჩერნოვცელ ოსტატობის კანდიდატს მ. რაბინოვიჩს (IV ტურში იგი საერთაშორისო ოსტატ ვ. ბაგიროვთან დამარცხდა) და ბაქოელ პირველთანრიგოსანს რ. კორსუნსკის, რომელმაც 29 მარტს ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩერნოვცელთა კაპიტან გ. კუზმინთან. ბოლო მომენტში მათ დაეწია მოსკოველი ს. გორელოვი, რომელმაც ლენინგრადელთა კაპიტანს მ. ტაიმანოვს მოუგო. ეს პარტია გადადებული იყო, მაგრამ გვიან საღამოს ყველა გუნდის კაპიტნების თათბირზე ჭაბუკ ოსტატობის კანდიდატს გამარჯვება ჩაუთვალეს.

სამი ტურის შემდეგ არ დარჩა დიდოსტატი, რომელსაც ერთი პარტია მაინც არ წაეგო. მოსწავლეთა შორის კი დაუმარცხებელნი ჯერ კიდევ არიან. ესენი არიან უკვე დასახელებული გორელოვი, რომელმაც ყაიმით დაამთავრა პარტიები კუზმინთან, ტალთან და ბაგიროვთან, აგრეთვე, რიგელი მეათეკლასელი ოსტატობის კანდიდატი ი. კატიშონოკი. ამ უკანასკნელს პირველ სამ ტურში დაუზავდნენ ავერბახი, ბაგიროვი და ტაიმანოვი, მეოთხე ტურში მან ლ. პოლუგაევსკისთანაც ყაიმს მიაღწია.

ყველაზე გვიან დამთავრდა მოსკოვ-ლენინგრადის მატჩი, რომელიც ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. ტაიმანოვმა ერთი პარტია დათმო, ავერბახმა... ოთხი: ეს პირველი შემთხვევაა, როცა დიდოსტატი სეანსს აგებს.

დასკვნითი ტურის წინ დამაჯერებლად ლიდერობენ ლენინგრადელები. მათ 34 ქულა აქვთ, რიგელებს — 6 ქულით ნაკლები.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

თბილისელი წყალბურთელები — პირველ ექვსეულში

ჟდანოვში დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. VI ადგილზე გასვლისთვის, რაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის საშუალებას იძლეოდა, იბრძოდა 4 გუნდი — მოსკოვის „ტორპედო“, თბილისის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“ და ვოლგოგრადის „სპარტაკი“. თბილისელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ მატჩი მოსკოველ ავტოქარხნელებთან 2 ბურთის სხვაობით, ლენინგრადელებს — ბაქოელი წყალბურთელებისთვის — 6 ბურთის სხვაობით...

მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის და ვოლგოგრადის „სპარტაკის“ შეხვედრაში პირველის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, რადგან ჩემპიონობის მთავარი მაძიებელი 2 ქულას არ დათმობდა. ასეც მოხდა: უნივერსიტეტის კოლექტივმა ადვილად სძლია მეტოქეს — 4:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩმა. თბილისელებმა ჩინებულად ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 6:4.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ბალტიკა“ — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია 8:4, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო“ (ხარკოვი) 7:2, „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 5:4, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 3:3.

ჩემპიონატის მონაწილე გუნდები შეხვედრებს განაახლებენ 21 ივნისს. დასკვნითი მატჩები მოეწყობა ოქტომბრის მეორე ნახევარში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უნივერსიტეტი (მოსკოვი)	11	10	0	1	57:29	20
სსფ ცსკა (მოსკოვი)	11	7	3	1	60:42	17
„დინამო“ (კიევი)	11	7	1	3	48:39	15
„დინამო“ (ლვოვი)	11	5	3	3	40:42	13
„დინამო“ (მოსკოვი)	11	3	6	2	45:41	12
„დინამო“ (თბილისი)	11	4	2	5	54:56	10
„ბალტიკა“ (ლენინგრადი)	11	3	4	4	49:52	10
„ტორპედო“ (მოსკოვი)	11	4	2	5	34:41	10
„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)	11	1	7	3	43:50	9
„დინამო“ (ხარკოვი)	11	1	4	6	40:52	6
წკფ (ბაქო)	11	1	3	7	49:61	5
„დინამო“ (ალმა-ათა)	11	0	5	6	41:55	5

В. ИВАНОВ
Центральный круг

ცენტრალური წრე

ვ. ივანოვი

თავი IV

იმ ადამიანებზე, რომლებიც მაშინაც კი მართალი არიან, როცა რალაც ეშლებათ

მოხდა ისე, რომ მე და სტრელცოვი ვიქეცით ერთგვარ ქვაკუთხედებად „ტორპედოს“ გუნდისთვის, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე დიდ წარმატებასა და აღიარებას მიაღწია, რომელსაც კიდევ დიდხანს გაიხსენებენ, როგორც არაჩვეულებრივ, საოცარ, განუმეორებელ გუნდს: „ტორპედოს“ 1954 წლის შემადგენლობიდან ამ ბედნიერ დღეებამდე გუნდში მხოლოდ მე და სტრელცოვი დავრჩით. ერთი სიტყვით, ბედმა გამიღიმა: 1960 წლის ნიმუშის „ტორპედო“ თავიდან ბოლომდე ჩემს თვალწინ შეიქმნა.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61.

ყოველწლიურად მოგვდიოდა შევსება — ორი-სამი სულ ახალგაზრდა, „ჭყინტი“ მოთამაშე. ჩვენ, ძველები, მათ სავსებით გასაგები ინტერესით ვუყურებდით. ასევე გასაგები იყო ჩვენი სურვილი, რომ იმთავითვე გამოგვეცნო, როგორ შეეთვისებოდნენ ეს ერთიმეორისგან ესოდენ განსხვავებული ჭაბუკები გუნდს, რას მოუტანდნენ მას, რით გაამდიდრებდნენ.

ისინი კი მართლაც ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ხომ არ გგონიათ, თუნდაც სულ პატარა რამეში მიჰბაძავდნენ ერთმანეთს? არადა, ერთად უნდა ეცხოვრათ, ერთად უნდა ეთამაშათ.

დღესაც ისე თვალწინ მიდგას ყველა, თითქოს „ტორპედოში“ ჩასარიცხად ახლა მოდიოდნენ ჩვენი მაშინდელი ახალბედები: მხარბეჭიანი, მძლავრი, ტანკივით შეუვალი შუსტიკოვი და მის გვერდით — გამხდარი, კოპწია ბიჭი, მეტრეველი; ბატანოვი, შრომისმოყვარე ფუტკარივით თავს რომ დასტრიალებს საფეხბურთო მინდორს და ბურთებს აგროვებს, სულ ერთია, თავის ნახევარზე იქნება თუ მეტოქისაზე, რომ მერე ჩვენ, თავდამსხმელები გამოგვკვებოს; გუსაროვი, საფარიდან ქორივით რომ ესხმის სხვის კარს; დენისოვი, თავდასხმაში ხან ერთ ფლანგზე რომ გაიელვებს, ხან—მეორეზე. სერგეევი, მაქოსავით მხოლოდ თავის ღარში რომ მიდიმოდის; მანოშინი, ერთი ბეწო მონაკვეთზე თუნდაც მთელ გუნდს რომ „დააბზრიალებს“; ვორონინი, ასი სვლითა და ასი მეტრით წინ რომ იხედება...

ისინი მოდიოდნენ, გარემოს ეჩვეოდნენ, ჯერ დუბლიორებში იწვრთნებოდნენ, შემდეგ ძირითად შემადგენლობაში გადაბარგდებოდნენ და ყოველი მათგანი პოულობდა თავის ადგილს, რომელიც თითქოს დიდი ხანია მხოლოდ მას ელოდა. სულ მალე ყველასთვის ნათელი იყო, რომ ამ ადგილს სხვა არც მოუხდებოდა.

ახლა სახლებს უმთავრესად ბლოკებისა და პანელებისგან აშენებენ. ჩემს ბავშვობაში კი, მახსოვს, დავდგებოდი სადმე, სადაც აგურის სახლს აშენებდნენ, და საათობით თვალს არ ვაცილებდი კალატოზის მუშაობას. რარიგ ლამაზია ეს სამუშაო ნამდვილი ოსტატის ხელში! დადებს ერთ აგურს და თითქოს ისე, სხვათა შორის შეავლებს თვალს იქვე დაყრილ წითელი აგურების გროვას, რათა შეუცდომლად ამოარჩიოს ერთი, რომელიც ყველაზე უკეთ მოერგება მისთვის გამზადებულ ადგილს — მოერგება ისე, რომ არც ერთი კუთხე უშნოდ არ იყოს გამოჩრილი და კედელი სწორად, ლამაზად იზრდებოდეს. ზოგჯერ, სანამ აგურს მბოლავი ცემენტის რბილ ბალიშზე ფრთხილად დაუშვებდეს, ოსტატი ერთი-ორჯერ დაჰკრავს მას თავის ქაფჩას, რათა ყველაფერი ზედმეტი მოაშოროს, დაჰკრავს ზუსტად, მხოლოდ მისთვის შესამჩნევ წერტილში, თითქოს იქ ვიღაცას ჭდე გაეკეთებინოს მისანიშნებლად და იზრდება სახლი, საიმედო, ლამაზი.

რასაკვირველია, შეიძლება თქმა, რომ ჩვენს „კალატოზებს“, რომლებმაც „ტორპედოს“ ახალი შენობის აგება იკისრეს, კარგი მასალა შეხვდათ. მათ მართლაც არ ეთქმოდათ საყვედური საინტერესო, დიდი იმედის მომცემი ახალგაზრდა მოთამაშეების ნაკლებობაზე. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი თვითონ ირჩევდნენ შევსებას, მეორეც, სულ არ არის აუცილებელი, რომ თერთმეტმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ძლიერი გუნდი შეადგინოს, თუნდაც თვითონაც გულით სურდეთ ეს, თუნდაც ძალიან მოწადინებულიც იყვნენ. ხანდახან პირიქითაც ხდება. შემთხვევითი როდია, რომ გუნდის დაკომპლექტება ნაკრების მწვრთნელისთვისაც მუდამ რთულია, თუმცა ერთი შეხედვით შეიძლება ყველაფერი იოლზე იოლი მოგეჩვენოს. მიიწვიე თერთმეტი დღევანდელი უძლიერესი მოთამაშე და გათავდა. მაგრამ არა, ადამიანსა და მოთამაშეს შორის არსებული ზღუდის გადალახვა ზოგჯერ წლობით არ ხერხდება.

ჩვენ კი სულ პატარა დაბრკოლებაც არ გვქონია დასაძლევი, ყველა თითქოს თავისთავად დგებოდა კალაპოტში, როგორც აგურები კარგი კალატოზის ხელში.

რაც გინდათ თქვით და, „ტორპედოს“ მაშინ ძალიან გაუღიმა ბედმა, ისევე როგორც ჩვენ, ამ გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებიც საკუთარ თავსაც არ ვიცნობდით, არ ვიცოდით, ვის რა შეგვეძლო, ფეხბურთელებს, რომელთა მომავალიც ჯერ კიდევ ბურუსით იყო მოცული. ბედმა გაგვიღიმა იმიტომ, რომ საიმედო ხალხის ხელში მოვხვდით. მოროზოვისა და ჟარკოვის (მან მოროზოვი შეცვალა) შემდეგ ჩვენს უფროს მწვრთნელად ბესკოვი დანიშნეს, ხოლო კიდევ ერთი წლის მერე „ტორპედოს“ კვლავ დაუბრუნდა მასლოვი. სწორედ ამ ორი მწვრთნელის, პირველ ყოვლისა კი მასლოვის სახელს ვუკავშირებ მე „ტორპედოს“ აღორძინებას (ბესკოვს, სამწუხაროდ, ჩვენთან დიდხანს არ უმუშავია). „წყალი და ქვა, ლექსი და პროზა, ყინული და ცეცხლი ისე არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან“, როგორც ეს ორი ადამიანი — კონსტანტინე ივანეს ძე ბესკოვი და ვიქტორ ალექსანდრეს ძე მასლოვი.

ბესკოვს პირველი დანახვისთანავე გამოარჩევთ უამრავ ხალხში, თუნდაც მანამდე არასდროს გენახოთ. ასე უნებლიეთ ამჩნევ ადამიანს, რომელიც ყველაზე უკეთაა ჩაცმულიც, გაპარსულიც, დავარცხნილიც. დარწმუნებული ვარ: სხვაგვარი ბესკოვი არავის უნახავს. სპორტსმენებს შორის ბევრს უყვარს ჭყეტელა კოსტიუმები. ბესკოვის ჩაცმულობაში ყოველი წვრილმანი გულდასმითაა მოფიქრებული, ჰარმონიულად ეხამება ყველაფერ დანარჩენს. არაფერი არ გეცემა თვალში. ასე უფრო დიპლომატები ან ცნობილი რეჟისორები იცვამენ.

არ ვიცი, არის თუ არა ქვეყანაზე უფრო ნერვული, სულისა და სხეულის დამქანცველი საქმე, ვიდრე სამუშაო ფეხბურთელთა მწვრთნელისა. მაგრამ ვერც წლებმა, ვერც ბედის შემოტევებმა — ეს კი მას ბევრ თავის კოლეგაზე ხშირად უწვნევია — ვერ შეცვალა ბესკოვი, ოღონდ ესაა, რომ ჭაღარა სულ უფრო ზევით მიიწევს საფეთქლებზე. თავისი გუნდის აღზევების პერიოდშიც და უმწარესი მარცხის დღეებშიც იგი ერთნაირად თავაზიანად უკრავს თავს სტადიონზე თავის უამრავ ნაცნობებს — ჟურნალისტებს, მსაჯებს, მწვრთნელებს, „დინამოს“ გულშემატკივრებს, რომლებიც მუდამ ცდილობენ მას დაენახონ.

მე ვერ წარმომიდგენია ბესკოვისგან არა თუ ყვირილი, არამედ უბრალო ხმის აწევაც კი. არა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მკვახე-მკვახე, საწყენი სიტყვები არ იცის, მაგრამ ყველაფერს გეტყვით მშვიდად და ერთი ისეთი, როგორც წესი, გრძელი და საფუძვლიანი ფრაზით, რომელშიც აუცილებლად იქნება ქვემდებარეც, შემასმენელიც და დამოკიდებული წინადადებაც.

მასლოვს, თუ კი გამოარჩევ სხვებში, მხოლოდ სათხილამურო ქუდით, რომელსაც იგი თითქმის არ იშორებს. მაღაზიაში კოსტიუმსაც იმას ყიდულობს, რომელიც პირველად მოხვდება თვალში, ოღონდ არ უჭერდეს და სიარულის დროს არ აწუხებდეს. პიჯაკის ქვეშ სავარჯიშო კოსტიუმი აცვია, რათა ჰალსტუხს თავი არ შეაწუხებინოს. საკუთარი გარეგნობა მას ყველაზე ნაკლებად ადარდებს და ამის გამო ყოველთვის როგორღაც შინაურულად გამოიყურება. ფეხბურთელები მასლოვს „პაპას“ ეძახიან. ეს უწყინარი მეტსახელი საოცრად უხდება მის ღიპსა და გამელოტებულ, ჭაღარა შარავანდედით შემკულ თავის ქალას.

მასლოვს შეუძლია გაუთავებლად გვებუზღუნოს, გვლანძღოს, მიწასთან გაგვასწოროს, თანაც ისე, რომ გამოთქმებზე მაინცდამაინც არ იზრუნოს, მაგრამ გულის მოხვლა ასევე სწრაფად გაუვლის ხოლმე და მასზე ნაწყენი იშვიათად რომ ვინმე დარჩეს. ერთი სიტყვით, ნამდვილი პაპაა.

გარეგნული კორექტულობა უმთავრესად უშფოთველ ადამიანებს ახასიათებთ. ბესკოვი მგზნებარე ბუნების ადამიანია. მისი გატაცება ფეხბურთია. ეს შეუიარაღებელი თვალისთვისაც ნათელია. ფეხბურთზე მას შეუძლია უსასრულოდ ილაპარაკოს, ხოლო მასზე ფიქრი, მე მგონი, საერთოდ არასდროს სცილდება გონებიდან. აქ, ისევე როგორც ჩაცმულობის საკითხში, მისთვის წვრილმანები არ არსებობს — ყველაფერი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. იგი მზადაა ყოველი წვრილმანი თუნდაც ათასჯერ განმარტოს და გაიმეოროს, სანამ არ დარწმუნდება, რომ გაუგეს და დაეთანხმნენ. თავისას, თუნდაც სულ წვრილმანი იყოს, არაფრის დიდებით არ დათმობს.

ერთხელ ვალოდია ფედოტოვი გვიამბობდა:

— 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ინტერვიზია არ იყო. მაშინ მე ასს-ში ბესკოვთან ვმეცადინეობდი. იგი შვეციაში მეთვალყურედ იყო. ჰოდა მე ყოველგვარი ტელევიზორის გარეშე დაწვრილებით ვიცოდი ბრაზილიელთა ყოველი თამაშის ამბავი, მათი ყოველი გოლი. ყველაფერი ეს ბესკოვმა გადმოგვცა. გვიამბო და დაფაზეც დაგვიხატა, აგვიხსნა, როგორ და რატომ მოხდა ყველაფერი, ვინ საით გაიქცა, ვინ სად იდგა, ვინ რომელ წამზე შეცდა, ვის როგორ უნდა ეთამაშა, მაგრამ არ ითამაშა.

მე გამახსენდა ბესკოვის რჩევადარიგებები და თამაშის გარჩევები „ტორპედოში“. გარჩევა ზოგჯერ ორ საათს გრძელდებოდა და ჩვენ, ისევე დაღლილ-დაქანცულებს, როგორც რომელიმე ძნელი მატჩის შემდეგ, ბუზღუნი რომ არ დაგვეწყო, ალბათ დასასრული არც ექნებოდა. გასაკვირი ის კი არ არის, რომ ბესკოვს ნათამაშევი მატჩი ისევე კარგად ახსოვდა, როგორც დიდოსტატს ახსოვს ხოლმე ერთი წუთის წინ დამთავრებული პარტია.

მგონი, მას ასევე დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი ყოველი მომავალი შეხვედრაც ყველა თავისი შესაძლო ვარიანტით. მითითებებზე იგი ყველას მაგივრად თამაშობდა მათს პარტიებს, ცდილობდა ესწავლებინა მოთამაშისთვის, რა უნდა გაეკეთებინა მას, თუ მეტოქე ითამაშებდა ასე, ან ისე, ან მესამე გზას აირჩევდა.

ყოველივე ამას დაუსრულებლად ვიმეორებდით საწვრთნელ ვარჯიშებზე. თამაშის შემდეგ, ზოგჯერ მაშინვე კი არა, ერთი კვირის მერე ბესკოვი შეიძლებოდა მოსულიყო და ეთქვა რომელიმე ულიმღამო, უკვე ყველას მიერ დავიწყებულ ეპიზოდზე, რომელსაც მწვავე მომენტიც კი არ მოჰყოლია:

— ნახეთ, რა მშვენივრად გამოვიდა?

ეს ნიშნავდა, რომ რომელიღაც კომბინაცია — „კედელი“ გავითამაშეთ თუ „გადაჯვარედინება“ გავაკეთეთ — ჩავატარეთ „ბესკოვისებურად“, ესე იგი ზუსტად ისე, როგორც ნასწავლი გვქონდა.

ბესკოვის გონებაში ჩაბეჭდილია უთვალავი სიტუაცია სხვადასხვა მატჩიდან, იგი ან მონაწილე იყო ამ სიტუაციებისა, ან მოწმე, და ყოველი მათგანი შეიძლებოდა გაკვეთილის თემად ქცეულიყო.

ღმერთს არც მასლოვისთვის დაუკლია მეხსიერება. მასაც უამრავი სხვადასხვა შემთხვევა ახსოვს საფეხბურთო ცხოვრებიდან, მაგრამ მისი მოგონებები თამაშის ეპიზოდებს როდი ეძღვნება. როგორც პაპის წესია, მას ყოველგვარი შემთხვევებისთვის აქვს შემონახული კომიკური, სევდიანი, ჭკუის სასწავლებელი, უბრალოდ, საინტერესო ამბები, რაც თავს გადახდენიათ ალბათ ერთი ათი თაობის ფეხბურთელებს მაინც — მის მასწავლებლებს, თანამედროვეებს, მოწაფეებს.

თამაშისწინა დარიგებებზე იგი სიტყვაძუნწია. მას მიაჩნია, რომ გაზაფხულზე, თეორიულ მეცადინეობებზე, უკვე ზოგადად განსაზღვრულია ჩვენი ტაქტიკური პრინციპები და ყველამ იცის თავისი საქმე. დარიგების დროს კი მხოლოდ რაღაც-რაღაცეების დაზუსტებაა საჭირო ახალი მეტოქის თამაშის სტილის შესაბამისად. მასლოვი მოთამაშეებს დავალებებს არ უღეჭავს. მისი აზრით, ყველაფერს წინასწარ ვერ გაითვალისწინებ და მოთამაშეებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ ცალკეული ტაქტიკური ამოცანები მატჩის მსვლელობის დროს. თუ არა და, აბა რაღა ოსტატები არიან.

(გაგრძელება იქნება)

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

თასზე მატჩის წინ

29 მარტს გაგრაში გაიმართა საკონტროლო მატჩი თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0. გოლი მე-15 წუთზე გაიტანა ევრიუჟიხინმა.

თბილისის „დინამო“ თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: გაგოშიძე, ებრალიძე, კანთელაძე, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, ასათიანი, გ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, წერეთელი.

თბილისელებს ახლა სსრ კავშირის თასის პირველი მერვედფინალური მატჩი აქვთ ოდესაში 6 აპრილს „ჩერნომორეცთან“.

მინი-ფეხბურთის ფინიშზე

თბილისის სპორტის სასახლეში დასასრულს უახლოვდება ნორჩთა რესპუბლიკური გათამაშება მინი-ფეხბურთში. ჯგუფებში თამაშების შემდეგ მონაწილენი ასე განლაგდნენ:

I ჯგუფი. თბილისი I, სპორტსკოლა (ჭიათურა), „დინამო“ (ზუგდიდი), „მერცხალი“ (მახარაძე).

II ჯგუფი. „ტორპედო“ (ქუთაისი), „გურია“ (ლანჩხუთი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი), „მეტალურგი“ (რუსთავი).

III ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (სამტრედია), თბილისი II, „დილა“ (გორი), „დინამო“ (ბათუმი).

IV ჯგუფი. „დინამო“ (სოხუმი), სპორტსკოლა (ცხინვალი), „მეშახტე“ (ტყიბული), „კოლხეთი“ (ფოთი).

დებულების თანახმად, ჯგუფებში I ადგილებზე გასული გუნდები განაგრძობენ ბრძოლას საპატიო პრიზისთვის. გუშინ სპორტის სასახლეში შედგა ნახევარფინალური შეხვედრები.

ნიშნოსანი პაპა

„პრავდა“
კროსი

გაზეთ „პრავდის“ პრიზზე გამართულ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობისთვის ცხინვალში ხელვაჩაურის რაიონის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, 45 წლის ლევან ჩხობაძე თავის შვილებთან გიასთან და მარინესთან ერთად ჩამოვიდა. სამივენი მშდ კომპლექსის სხვადასხვა საფეხურის ნიშნოსნები არიან და ახლა აქ კროსში რაიონის ღირსებას იცავდნენ.

მაგრამ ჩხობაძეების ოჯახში მშდ ახალი კომპლექსის პირველი ნიშნოსანი მაინც ლევანის მამა, 74 წლის გრიგოლი იყო, რომელსაც ამ კომპლექსის სამკერდე ნიშანი შრომის წითელი დროშის ორდენთან ერთად გადასცეს. ამ ოჯახში შრომა და სპორტი ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული. ასეთი ოჯახი საქართველოში ცოტა როდია.

რაც შეეხება კროსს, სარბიელზე 14 კოლექტივის 97 სპორტსმენი გამოვიდა. გუნდურ შეჯიბრებაში წალკის რაიონის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. II ადგილზე გავიდა ბოგდანოვკის რაიონის გუნდი. მესამე იყო სამხრეთ ოსეთის კოლექტივი.

მასპინძლებს ორი გამარჯვება მოუპოვეს ძმებმა ე. და ვ. გათიკოევებმა. 23 წლის ე. გათიკოევმა 8000 მეტრზე რბენა მოიგო (25.04,0), 19 წლის ვ. გათიკოევი კი პირველი იყო 5000 მეტრზე შეჯიბრებაში — 17.05,0. ამ სახეობებში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „კოლმეურნის“ ბოგდანოვკის რაისაბჭოს თავმჯდომარე პ. ანტონიანი — 27.49,0, ავრანლოს (წალკის რაიონი) საბჭოთა მეურნეობის მუშა ფ. აშკალოვი — 28.12,0, შ. ნადირაძე (მცხეთის რაიონი) — 18.02,0 და ვ. ანდრიასიანი (წალკა) — 18.05,0.

3000 მეტრზე რბენა მოიგო ვ. ტასოევმა (სამხრეთ ოსეთი) — 9.41,0. აქ მეორე იყო ი. შუშანოვი (წალკა) — 9.59,0, მესამე — ვ. კრიკუნოვი (ბოგდანოვკა) — 10.03,0.

გოგონათა შორის 1000 მეტრზე რბენაში იმარჯვა დ. ანანიკოვამ (წალკა) — 3.30,0. მას ზუგდიდელი ლ. თოდუა 4 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა ზ. ვასილენკო (ახალციხე) — 3.36,0.

ქალიშვილები 1500 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ ყველას აჯობა ქ. ზანთარიამ (აფხაზეთი) — 5.23,0. II და III ადგილები წილად ხვდათ ს. კოკოზოვასა (5.47,0) და ო. დილიანოვას (ორივე — წალკა) — 5.58,0.

ქალთა შორის 2000 მეტრზე რბენაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ე. ზურნაჩიანი (წალკა) — 7.40,0, ლ. ვასილენკოვა (ბოგდანოვკა) — 8.08,0, ლ. პოსტნიკოვა (ახალციხე) — 8.21,0.

ო. ხერხეულიძე,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ცხინვალი.

ტბის კირას

ბათუმის საგაზაფხულო მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე პიონერთა პარკში მდებარე ტბის ირგვლივ ჩატარდა. ასპარეზობაში ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტსაზოგადოებების გუნდები მონაწილეობდნენ.

სპორტსაზოგადოებების გუნდური ტურნირი „დინამოს“ მძლეოსნებმა მოიგეს. ფიზკულტურის კოლექტივების შეჯიბრებაში ყველას აჯობეს პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

ვ. ლიბერმანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ბათუმი.

რაიონებში [illegible]

◆ ზუგდიდი

ჩატარდა რაიონის სკოლების პირველობა ტყვიის სროლაში. გუნდური I ადგილი დაიკავა ქკადუაშის საშუალო სკოლის კოლექტივმა, II ადგილი ხვდათ კორცხელის, III — დარჩელის საშუალო სკოლების მსროლელებს.

ქ. ფიფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

აუტსაიდერთა პრობლემები

ლენინგრადი, 29 მარტი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეოთხე დღეს მოსკოვის ცსკა-ს და ტარტუს „კალევის“ შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. არმიელები, რომლებიც უკვე სსრ კავშირის ჩემპიონები არიან, დამარცხდნენ.

მართალია, ამ შედეგს ცსკა-ს სატურნირო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ჩემპიონის წარუმატებლობას ძნელად თუ მოელოდა ვინმე. არმიელებზე უთუოდ გავლენა იქონია წინა შეხვედრების სიმძაფრემ და ამით გამოწვეულმა ნერვულმა დაძაბულობამ. მოსკოველებმა პირველი ტაიმი რის ვაი-ვაგლახით მოიგეს (43:42), მაგრამ შესვენების შემდეგ ნებისყოფა არ ეყოთ ბრძოლის გასაგრძელებლად. „კალევმა“ კარგად ისარგებლა ამით და ქულა აართვა მეტოქეს — 86:81. ეს ქულა შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში, სადაც წარმატების შანსებს ინარჩუნებენ მოსკოვის დინამოელები და კიევის „სტროიტელიც“.

თავგამოდებით იბრძვიან ფინიშზე კიევის არმიელებიც. ამ თავგანწირვამ გუნდის მდგომარეობა ერთგვარად გამოაკეთა. არმიელებმა გუშინწინ, როგორც იცით, რიგის თანაკლუბელები დაამარცხეს, დღეს კი „ჟალგირისს“ დააყრევინეს ფარ-ხმალი — 90:77 (46:41).

მინსკის რტი-ს ბედი არ სწყალობს ლენინგრადის ტურში. მან უკვე რამდენიმე შეხვედრა წააგო 1-2 ქულის სხვაობით და ისევ სახიფათო ზონაში აღმოჩნდა. დღეს ბელორუსიის გუნდმა, როგორც იქნა, გატეხა ნავსი: დაამარცხა თბილისის „დინამო“ — 82:76 (45:38). აღსანიშნავია, რომ თბილისელები ამ ტურს რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის გარეშე ატარებენ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მარტისთვის

	თ.	მ.	ბ.	ქ.
ცსკა	25	23	2238-1917	23
„სპარტაკი“	25	20	1918-1719	20
„სტროიტ.“	25	15	2127-2019	15
„დინ.“ (მ.)	25	14	2028-1953	14
„კალევი“	25	14	2047-1955	14
„დინ.“ (თბ.)	25	10	1902-1996	10
„ჟალგირისი“	25	9	1947-2026	9
რტი	25	7	1807-2076	7
ასკ (კიევი)	25	7	1879-2018	7
ასკ (რიგა)	25	6	1908-2122	6

დისციპლინის დარღვევისთვის — „ტრანსფერლისტში“

გლაზგოს „სელტიკის“ მენეჯერმა ჯ. სტეინმა გამოაცხადა, რომ თანახმაა ნებისმიერ მსურველს მიჰყიდოს თავისი გუნდის ორი წამყვანი მოთამაშე — კონელი და ჰატჩინსონი. მწვრთნელის ამ განცხადებამ დიდი გაოცება გამოიწვია, ვინაიდან კონელი და ჰატჩინსონი არა მარტო „სელტიკის“, არამედ შოტლანდიის ნაკრების ძირითადი ფეხბურთელები არიან.

„სელტიკის“ ამ მოთამაშეთა შერისხვა უბრალოდ აიხსნება: ორივე ხშირად არღვევს დისციპლინას, აცდენს ვარჯიშს, ამას კი სტეინი არავის აპატიებს.

გამოსაფხიზლებელი შხაპი

ავსტრალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ყველასთვის მოულოდნელად დიდ წარმატებას მიაღწია — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ამ წარმატებამ აღაფრთოვანა მეხუთე კონტინენტის მცხოვრებნი. ავსტრალიის პარლამენტის ორივე პალატამ სხდომები შეწყვიტა, რათა უკლებლივ ყველანი გამგზავრებულიყვნენ აეროპორტში ნაკრების შესახვედრად. ფეხბურთელები ბრუნდებოდნენ ჰონკონგიდან, სადაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი. მათ ისე შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს. სიდნეისა და მელბურნში ფეხბურთმა გაზეთების პირველ გვერდებზე გადაინაცვლა. უკანა პლანზე გადასწიეს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხები. გაზეთმა „სიდნეი მორნინგ ჰერალდმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი ასეთი უცნაური სათაურით: „ინგლისელები შურით კვდებიან, როცა ხედავენ, როგორ ვალაგებთ ჩემოდნებს მიუნჰენში გასამგზავრებლად“.

მაგრამ ავსტრალიელ გულშემატკივრებს ცივი შხაპივით გადაევლოთ ინტერვიუ, რომელიც ბელგიელმა მსაჯმა ლერუამ მისცა ლონდონის „დეილი მეილის“ კორესპონდენტს. ამ გამოცდილმა არბიტრმა, რომელიც მსაჯად იყო მიწვეული ავსტრალიისა და სამხრეთ კორეის გუნდების შეხვედრაზე, უყოყმანოდ განაცხადა: „ინგლისის ნებისმიერი მესამე ლიგის კლუბი სულ იოლად დაამარცხებდა ამ შეხვედრის მონაწილე გუნდებს არა თუ ცალ-ცალკე, არამედ ერთადაც“.

ფეხბურთის მეფე და კომერციის ტუზი

ჰოლანდიელი ფეხბურთის დიდოსტატი იოჰან კრუიფი, რომელიც ამჟამად ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს, მარტო მწვანე მინდორზე როდი იჩენს აქტიურობას. როგორც კი დაიყაბულა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების სახელით გამოსვლისთვის 40 მილიონი ესპანური პესეტის გადახდაზე, კრუიფმა მაშინვე მორიგი გარიგება გააჩაღა ესპანეთის ყოველკვირეულ „აქტუალიდადთან“, რომელსაც 2 მილიონ პესეტად მიჰყიდა თავისი ავტობიოგრაფიის გამოცემის უფლება.

ესპანეთისა და პოლონეთის გაზეთებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სახელგანთქმული ფეხბურთელის ამ „ტრანსაქციებმა“. „კრუიფი მარტო ესპანელებთან როდი ვაჭრობს, — წერს ამსტერდამის „ტელეგრაფი“, „კრუიფი მარტო ფეხებით არ ვაჭრობს“, — ხმას აძლევს მას მადრიდის „აბც“, „კრუიფი მარტო ფეხბურთის მეფე კი არა, კომერციის ტუზიცაა“, — წერს ჰააგის გაზეთი „ფრიე ფოლკი“.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ მშვიდობის ველორბოლაში სამგზის გამარჯვებულს, სახელგანთქმულ პოლონელ სპორტსმენს რ. შურკოვსკის თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად. იგი ამჯერად ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ მოჰყვა თავისიანების ალყაში. შურკოვსკი ხშირად ასპარეზობდა, რის გამოც წლევანდელ მშვიდობის ველორბოლაში მისი მონაწილეობა საეჭვო შეიქნა — სპორტსმენი გადაღლილია.

პოლონეთის ველოსიპედისტთა მწვრთნელმა ვ. ვალკევიჩმა განაცხადა, რომ რიშარდ შურკოვსკი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ერთობ გადაღლილია და ნაკრების ხელმძღვანელობას დასვენება სთხოვა.

დასვენების შემდეგ ცნობილი გახდება, გამოვა თუ არა შურკოვსკი მშვიდობის წლევანდელი ველორბოლის სტარტზე.

მსოფლიოში

„უმუშევარი მეკარე“ — ასეთი სათაურით მოიარა ამ ფოტოსურათმა მთელი სამყარო.

...ტოგოში ერთმანეთს შეხვდნენ „ტოგოს ლომები“ და „სამეფო პინგვინები“. პინგვინებმა პირდაპირ „გადაყლაპეს“ ლომები და პინგვინების გუნდის მეკარეს არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. მას მობეზრდა უქმად ფეხზე დგომა, თავისი კარის ხაზზე დადგა სკამი და ჩამოჯდა... ასე ამაყად იჯდა მთელი მატჩის განმავლობაში, „ჭეშმარიტად სამეფო პინგვინს — ლომების დამმარცხებელს“ რომ ეკადრება.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ, რომ ეს მოხდა ფეხბურთელ ქალთა გუნდების მატჩში.

ფრანს პრესის სააგენტოს ფოტო.



სპორტული კალეიდოსკოპი

„იავის“ ახალი გამარჯვება

ინგლისელი მოტომრბოლელები ექვსდღიან შეჯიბრებაში პირველად გამოვლენ საზღვარგარეთული მანქანებით. მათ უარი თქვეს სამამულო წარმოების მოტოციკლებზე და ახლა ჩეხოსლოვაკიური „იავებით“ იასპარეზებენ. ამ გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა გამარჯვებებმა წინა მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ინგლისელებმა თავიანთი მოტოციკლებით II ადგილი დაიკავეს.

ამერიკელები ცურვას ამჯობინებენ

„ნილსენ კომპანის“ მკვლევართა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სადღეისოდ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ცურვაა. ამ სახეობაში ქვეყნის 107 მილიონი მცხოვრებია ჩაბმული. გამოკითხვა ჩაატარეს იმ ამერიკელთა შორის, რომლებიც სპორტს მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის მისდევენ და შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე ადგილზეა ველოსპორტი — 65 მილიონი მოყვარული. ოთხი მილიონით ნაკლებია თევზაობის მოყვარულთა რიცხვი. ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა ინტერესმა ტურიზმისადმი, რომელმაც V ადგილზე გადასწია კეგლი. „ექსეულში“ ბოლო ადგილზეა მაგიდის ჩოგბურთი.

დამნაშავეა ბიზნესი

ამერიკელი ავტომრბოლელი პიტერ რევზონი დაიღუპა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, „კიალამის“ ავტოდრომზე, შეჯიბრების წინ წვრთნის დროს. მომავალი შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი მის მანქანას დააბრალეს და გამოაცხადეს, რომ რბოლის მონაწილეებს, მართალია, ძალიან დაენანათ ამხანაგი, მაგრამ ეს მათ „საბრძოლო განწყობილებას“ ხელს ვერ შეუშლის. მაგრამ ბრაზილიელმა კარლოს პეისმა თქვა, რომ მიზეზი რევზონის დაღუპვისა, ისევე როგორც ავტოდრომებზე მომხდარი ბევრი ტრაგედიისა, სულ სხვაა. მთავარი ისაა, რომ რბოლის ორგანიზატორებმა ფული არ გაიმეტეს, რათა უსაფრთხოებისთვის ზომები მიეღოთ.

(საკდესი).



დიდი აყალმაყალი

ასეთი რამ ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს. ბრაზილიელი ჭადრაკის მოყვარულები ფეხბურთის გულშემატკივრებზე ნაკლებად ფიცხები როდი აღმოჩნდნენ.

ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ქალაქ რესიფეში, სადაც მილიონი მცხოვრებია, ჭადრაკის გულშემატკივრები დიდოსტატ მეკინგის პარტიას არჩევდნენ დიდ სადემონსტრაციო დაფასთან. ერთმა მოყვარულმა დიდოსტატის სვლა დაიწუნა, სხვები მეკინგს გამოექომაგნენ.

ატყდა აყალმაყალი, რომელიც დიდი ცემა-ტყეპით დასრულდა. ორ კაცს ციხეში უკრეს თავი, ექვსს — ხაავადმყოფოში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02536